შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი 17 აგვისტო 2026 წელი

**ბრძანება № 118-26**

**2026-2027 სასწავლო წელს ბაკალავრიატის საფეხურზე პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ**

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.3 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №05-23 საოქმო გადაწყვეტილებით),

**ვბრძანებ:**

1. 2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტთა 2026-2027 სასწავლო წელზე რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 01 სექტემბერი - 2026 წლის 10 სექტემბერი.
2. რეგისტრაცია განხორციელდეს შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე:
   ა) სარეგისტრაციო განცხადება/სპეციალური ფორმა (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს), სარეგისტრაციო განცხადება არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში შეივსება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ;
   ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის) ასლი დედნის წარმოდგენის პირობით (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში-პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);
   გ) 1 ნაბეჭდი ფოტოსურათი ზომით 3×4 და ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია (CD/DVD დისკზე);
   დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტის) ასლი დედნის წარმოდგენის პირობით;
   ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედნის წარმოდგენის პირობით (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა);
   ვ) შევსებული სპეციალური ანკეტა (აბიტურიენტებს შეუძლიათ მიიღონ ანკეტის ფორმა უნივერსიტეტში);
   ზ) სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სტუდენტი ისწავლის სრული/ნაწილობრივი თვითდაფინანსებით);
   თ) განათლების მომსახურების ხელმოწერილი ხელშეკრულება (ხელშეკრულების შაბლონს აბიტურიენტი მიიღებს უნივერსიტეტში. თუ აბიტურიენტი არასრულწლოვანია, მასთან ერთად ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი).

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი | 204426834
0186, კ. ეუთათელაძის ქ.N3, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2422242
info@sabauni.edu.ge
www.sabauni.edu.ge

3. აბიტურიენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს მისამართზე: თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. №3, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით შემდეგ საათებში: 09 საათიდან 18 საათამდე რეგისტრაცია; 13 საათიდან 14 საათამდე შესვენება.
4. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება (ციცინო ხითარიშვილი);
5. დაევალოს უნივერსიტეტის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება;
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი

აკაკი ჭელიძე